ა(ა)იპ „ბათუმის განვითარების ფონდი"-ს
საკონკურსო კომისიის სხდომის
ო ქ მ ი 3-2

ა(ა)იპ „ბათუმის განვითარების ფონდის" მიერ 2013 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად კონკურსის მეშვეობით ძველი ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების სადარბაზო კარების დიზაინისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ საკონკურსო განცხადების (N986), დაკავშირებით 2013 წლის 30 ოქტომბერს 17:00 სთ-ზე შედგა ა(ა)იპ „ბათუმის განვითარების ფონდის" საკონკურსო კომისიის სხდომა, საკონკურსო განცხადების განხილვასთან დაკავშირებით.
სხდომას ესწრებოდნენ:
სატენდერო კომისიის და აპარატის წევრები შემდეგი შემადგენლობით:
ა) თავმჯდომარე - ავთანდილ დარჩია;
ბ) წევრი (მოადგილე) - ამირან შაქარაძე;
გ) წევრი - ლევან სამსონაძე (მოწვეული);
დ) წევრი - გიორგი კაცაძე;
საკონკურსო კომისიის აპარატი წევრი -- ხათუნა გოგუაძე
გ) წევრი -შორენა ხუჯაძე არ ესწრებოდა.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. საკითხი – ძველი ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების სადარბაზო კარების დიზაინისა და საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მიზნით გამოცხადებული კონკურსზე (986) წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა შერჩევა-შეფასების მიზნით;

განიხილეს: საკონკურსო კომისიის წევრები გაეცნენ საკონკურსო განცხადების (986) შედეგებს, რომლის თანახმადაც აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა: შპს „ჯარჯი ჯგუფი" (ს/კ 245556964).
კომისიამ განიხილა პრეტენდენტის (შპს „ჯარჯი ჯფუფი") შემოთავაზება.
ამასთან წარმოდგენილი იქნა შემდეგი დოკუმენტაცია:
1. ფასების ცხრილი - 4900 (ოთხი ათას ცხრაასი) ლარი;
2. სადარბაზოს კარების დიზაინისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია - 36 ესკიზი საერთო ფასით -283358,50 ლარი;
3. რეკვიზიტები;
კომისიამ განიხილა პრეტენდენტის შპს „ჯარჯი ჯგუფი"-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

კომისიამ იმსჯელა საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით და დაადგინა:
1). რადგან წარმოდგენილი დოკუმენტაცია არის დიდი მოცულობისა და მოითხოვს დეტალურ ანალიზს, ამიტომ საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში შეისწავლოს პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია;

/ავთანდილ დარჩია/
/ამირან შაქარაძე/
/ლევან სამსონაძე/
/გიორგი კაცაძე/